ხელშეკრულება №06-106
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ
(კონსოლიდირებული ტენდერი №CON170000066)

ქ. თბილისი

„22“ ნოემბერი 2017 წელი

ერთი მხრივ, სსიპ- ქალაქ თბილისის #74 საჯარო სკოლა, (შემდგომში - შემსყიდველი), წარმოდგენილი დირექტორი მარინე ჯარმელიშვილის სახით და მეორე მხრივ, შპს „პენსან ჯორჯია“ (შემდგომში - მიმწოდებელი), წარმოდგენილი დირექტორის, გიგა გობიანიძის სახით (ორივე წოდებული, როგორც „მხარეები“), ვხელმძღვანელობთ რა, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, მათ შორის, „სახელწიფო შესყიდვების შესახებ“ "საქართველოს კანონის 20^2 მუხლით, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2015 წლის 20 მარტის N2 ბრძანებით დამტკიცებული „A4 ფორმატის პირველი ხარისხის საბეჭდი ქაღალდის კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობებით“, აგრეთვე „2016 წლის საბეჭდი ქაღალდის სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერების საშუალებით განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 8 ნოემბრის N2336 განკარგულებით და საბეჭდი ქაღალდის 2017 წლის კონსოლიდირებული ტენდერის (№CON170000066) პირობებით (შემდგომში - „კონსოლიდირებული ტენდერი“) ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1.ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს, „შემსყიდველის“ მიერ 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული თანხის ფარგლებში, A4 ფორმატის, პირველი ხარისხის საბეჭდი ქაღალდის (CPV30197630) შესყიდვა.

1.2. საქონლის დასახელება, აღწერა, რაოდენობა, ერთეულის ფასი და საერთო ფასი მოცემულია N1 დანართში, რომელიც დაერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1.ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 250.00 (ორასორმოცდაათ ლარსა და ნულ თეთრს).

2.2. ხელშეკრულების ღირებულება, მოიცავს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს/მოსაკრებელს/სახდელს, რომლის გადახდა ეკისრება „მიმწოდებელს“.

3. საქონლის მიწოდების პირობები

3.1 გამარჯვებული პრეტენდენტი ვალდებულია მისი გამარჯვებულად გამოვლენიდან 1 კვირის შემდეგ, შემსყიდველი ორგანიზაციების წერილობითი მიმართვის საფუძველზე, არაუგვიანეს 15 სამუშაო დღისა, დაიწყოს მათთან ხელშეკრულების გაფორმების პროცედურები და ქაღალდის მიწოდება განახორციელოს შემსყიდველი ორგანიზაციის შესაბამისი მოთხოვნიდან, არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა, თუ ურთიერთშეთანხმების საფუძველზე სხვა რამ არ არის დადგენილი. შემსყიდველმა ორგანიზაციამ წერილობით უნდა მიმართოს გამარჯვებულ მიმწოდებელს ქაღალდის მიწოდების მოთხოვნის თაობაზე. გამარჯვებულმა მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს ქაღალდის მიტანა საკუთარი ხარჯებით ქ. თბილისის ტერიტორიაზე, შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ დასახელებულ ერთ მისამართზე, მოთხოვნიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა და თვეში ერთხელ (თუ ხელშეკრულებით მიტანის სხვა პერიოდულობა არ არის გათვალისწინებული). იმ შემთხვევაში, თუ ერთჯერადად მისაწოდებელი ქაღალდის რაოდენობა ნაკლებია 25 შეკვრაზე, მიმწოდებელი არ არის ვალდებული ქაღალდი მიაწოდოს საკუთარი ხარჯებით. „შემსყიდველის“ მოთხოვნიდან 3 (სამი) სამუშაო დღის განმავლობაში (საქონლის მიწოდების ვადის პირველ დღეს წარმოადგენს „მიმწოდებლისათვის“ შეტყობინების მიღების დღე). შეტყობინება შეიძლება განხორციელდეს წერილობითი სახით ან ელექტრონული ფოსტის საშუალებით - pensan.georgia@gmail.com

3.2. „მიმწოდებლის“ მიერ მიწოდებული საქონლის ხარისხსა და ვარგისიანობაზე სრული პასუხისმგებლობა ეკისრება „მიმწოდებელს“.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარების წესი

4.1. შესყიდვის ობიექტის მიღება საქონლის მიწოდებისთანავე ფორმდება „მიღება-ჩაბარების“ აქტის სახით, „მიღება-ჩაბარების“ აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლ(ებ)ის ხელის მოწერით, „მიმწოდებლის“ მიერ წარმოდგენილი სასაქონლო ზედნადების და წარმოდგენილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე.

5. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

5.1კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში საბეჭდი ქაღალდის მიწოდებისას ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ფორმით ეროვნულ ვალუტაში და მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია, მიმწოდებლის მიერ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 5 სამუშაო დღის ვადაში დაადასტუროს ან უარი თქვას ანგარიშ-ფაქტურის დადასტურებაზე შესაბამისი დასაბუთებით.

5.2. ანგარიშსწორება განხორციელდება წარმოდგენილი, სასაქონლო ზედნადების, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის (თუ ორგანიზაცია დღგ–ს გადამხდელია) და მხარეთა შორის გაფორმებული „მიღება-ჩაბარების" აქტის საფუძველზე, ყველა ამ დოკუმენტის წარმოდგენიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში.

6. მხარეთა ვალდებულებები

6.1. „მიმწოდებელი" ვალდებულია:

6.1.1. მიაწოდოს ,,შემსყიდველს" უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი.

6.1.2. დროულად განიხილოს ,,შემსყიდველის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომელიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

6.1.3. „მიმწოდებელი" ვალდებულია „შემსყიდველის" მოთხოვნიდან (შეტყობინების მიღებიდან) 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში, შეცვალოს წუნდებული ან/და ნაკლის მქონე საქონელი „შემსყიდველის" მხრიდან რაიმე დამატებითი ხარჯის გაწევის გარეშე.

6.1.4. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

6.2. „შემსყიდველი" ვალდებულია:

6.2.1. უზრუნველყოს „მიმწოდებლისათვის" თანხის გადახდა ამ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;

6.2.2. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

6.2.3. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

7. მხარეთა უფლებები

7.1. „მიმწოდებელს" უფლება აქვს:

7.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.

7.2. „შემსყიდველს" უფლება აქვს:

7.2.1. მე-6 მუხლის 6.1. პუნქტის 6.1.3. ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში თავად მიიღოს ზომები ნაკლის აღმოსაფხვრელად და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯის ანაზღაურება.

7.2.2. აწარმოოს მიწოდებული პროდუქციის რაოდენობისა და შესაბამისობის კონტროლი;

7.2.3. განაცხადოს უარი უხარისხო საქონლის მიღებაზე.

8. ფორს-მაჟორი

8.1. ხელშეკრულების საფუძველზე არც ერთი მხარე არ აგებს პასუხს მეორე მხარის წინაშე და თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან საკუთარი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ (ნაწილობრივ) შესრულების გამო, თუ ამის მიზეზი გახდა საგანგებო ხასიათის მქონე გადაულახავი ძალა, რომლის წარმოშობაზე ხელშეკრულების მონაწილე მხარეები პასუხს არ აგებენ და რომლის არსებობის ან წარმოშობის შესახებ ხელშეკრულების დადების მომენტში არ შეეძლოთ სცოდნოდათ.

8.2. გადაულახავ ძალად ჩაითვლება შემდეგი (და არა მხოლოდ):

8.2.1. სტიქიური უბედურებანი (ხანძარი, წყალდიდობა, მიწისძვრა, შტორმი და სხვა);

8.2.2. გამოცხადებული ან გამოუცხადებელი ომი, სამოქალაქო არეულობა, ნებისმიერი სახის საომარი მოქმედებები, საგანგებო მდგომარეობა;

8.2.3. ეპიდემიები;

8.2.4. ბლოკადა ან ნებისმიერი ეკონომიკური ემბარგო;

8.2.5. ხელისუფლების ნებისმიერი ერთეულის ან ხელისუფლების მიერ საამისოდ კომპეტენტურად განსაზღვრული ორგანოს გადაწყვეტილება და ისეთი ნორმატიული აქტის გამოცემა, რომელიც ზემოქმედებს მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე და ცვლის, წყვეტს ან აჩერებს ხელშეკრულების დებულებებსა და პირობებს.

8.3. ფორს-მაჟორული მოვლენა დადასტურებული უნდა იქნეს კომპეტენტური ორგანოს მიერ.

8.4. ფორს-მაჟორული მოვლენების წარმოშობის შესახებ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის ხელთ

არსებული საკომუნიკაციო საშუალებით (ტელეფონი, ფოსტა, ფაქსი, ელექტრონული ფოსტა, კურიერი და სხვა).
8.5. ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობა ავტომატურად არ იწვევს ხელშეკრულების გაუქმებას. მხარეები ვალდებულნი არიან განსაზღვრონ წინამდებარე ხელშეკრულების ფორს-მაჟორულ მოვლენებთან მისადაგების საკითხი.
8.6. ფორს-მაჟორული გარემოებების შეწყვეტისთანავე მხარეები დაუყოვნებლივ აგრძელებენ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.
8.7. ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობის პირობებში, ვალდებულებების შესრულების პერიოდი შეჩერდება იმ დროით, რა დროსაც გასტანა ასეთმა გარემოებებმა თუ მხარეთა შორის არ იქნა მიღწეული სხვაგვარი შეთანხმება.
8.8. მხარე არ თავისუფლდება პასუხისმგებლობიდან, თუ კი ფორს-მაჟორული მოვლენის დადგომა გამოწვეულია მისი ბრალით.

9. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა

9.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.
9.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
9.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან „შემსყიდველისათვის" პირობების გაუარესება, დაუშვებელია, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.
9.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს შეთანხმების სახით, მხარეთა უფლებამოსილ წარმომადგენლებს შორის, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

10.1. მხარეთა შორის წამოჭრილი დავები შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
10.2. „შემსყიდველმა" და „მიმწოდებელმა" ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი, არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
10.3. თუ მხარეები ვერ შეძლებენ მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

11. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

11.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნონ ერთმანეთს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

12. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

12.1 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება, სანქციები, რომელთა ფორმა, ოდენობა, ამოქმედების პირობები განსაზღვრულია წინამდებარე ხელშეკრულებით.
12.2 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
12.3 ხელშეკრულებით განსაზღვრული საქონლის მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში, „მიმწოდებელი" ვალდებულია „შემსყიდველის" სასარგებლოდ ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაიხადოს პირსაგამტეხლო ვადაგადაცილებით მიწოდებული/მისაწოდებელი საქონლის ღირებულების 0.05%-ის ოდენობით.
12.4. **CON170000066** კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო კომისიის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მითითების გაცემის შემთხვევაში, „მიმწოდებელი" „შემსყიდველის" სასარგებლოდ იხდის საჯარიმო თანხას,

კონკრეტული ხელშეკრულებით შესასყიდი (დარჩენილი) საბეჭდი ქაღალდის ღირებულების 5%-ის ოდენობით.
12.5. იმ შემთხვევაში, თუ პირგასამტეხლოს ღირებულება გადააჭარბებს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესასყიდი საბეჭდის მთლიანი ღირებულების 1%-ს, „შემსყიდველს" უფლება აქვს ვადაზე ადრე შეწყვიტოს ხელშეკრულება.
12.6. სანქციების დაწესება არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13. ხელშეკრულების კონტროლი

13.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს სკოლის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი თამარ გორგაძე.
13.2. კოორდინატორის ფუნქციებია:
13.2.1. მხარეების მიერ ნაკისრი ვალდებულებების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით სათანადო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება.
13.2.2. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად „მიმწოდებელთან" ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება და „მიღება-ჩაბარების" აქტის გაფორმება.

14. ხელშეკრულების ენა

14.1. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული ყველა მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომლებიც გაიცვლება მხარეთა შორის, ფორმდება ქართულ ენაზე.

15. ხელშეკრულების შეწყვეტა

15.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ერთ-ერთი მხარის ინიციატივით, მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.
15.2. ხელშეკრულების 15.1. პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში მხარე ვალდებულია მეორე მხარეს აღნიშნულის თაობაზე აცნობოს წერილობით.
15.3. წერილობითი შეტყობინება არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან ხელშეკრულების შეწყვეტამდე.
15.4. ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:
15.4.1. ურთიერთვალდებულებების შესრულებით.
15.4.2. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

16,1 გამარჯვებული პრეტენდენტის სატენდერო წინადადება ძალაშია 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საბეჭდი ქაღალდის მიწოდების ვადა სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას შესაძლებელია აღემატებოდეს არაუმეტეს 14 სამუშაო დღით.
16.2. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2017 წლის 31 დეკემბრამდე.

17. დასკვნითი დებულებები

17.1. მხარეები ხელმძღვანელობენ ურთიერთპატივისცემის პრინციპით და თანამშრომლობის გაღრმავების სურვილით.
17.2. ხელშეკრულების მხარეები ვალდებულნი არიან გაუფრთხილდნენ თითოეულის სახელს, საქმიან რეპუტაციას და ღირსებას.
17.3. მხარეები ვალდებულნი არიან დაიცვან ერთობლივი საქმიანობის შედეგად მათთვის ცნობილი მეორე მხარის კონფიდენციალური ინფორმაცია.
17.4. ხელშეკრულების მხარეებს არა აქვთ უფლება გააკეთონ განცხადება მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების შეუსრულებლობის, ხელშეკრულების პირობების დარღვევის შესახებ და ა.შ., თუ წინასწარ არ მოხდა შესაბამისი საკითხის ერთობლივი შესწავლა და შესაბამისი ფაქტების დადასტურება.
17.5. კონფიდენციალობის დარღვევად არ ჩაითვლება შემთხვევა, როდესაც ინფორმაციის გამჟღავნება წარმოადგენს კანონის ან კანონის საფუძველზე ხელისუფლების რომელიმე ორგანოს მიერ გამოცემული აქტის მოთხოვნას.
17.6. ხელშეკრულების რომელიმე ნორმის (მუხლი, პუნქტი) ბათილად ან გაუქმებულად გამოცხადება არ იწვევს მთლიანად ხელშეკრულების ბათილობას ან გაუქმებას. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების რომელიმე ნორმის (მუხლის, პუნქტის) ბათილობის/გაუქმების საფუძველია საქართველოს კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილება, რაც ამოქმედდა წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ, მხარეები ვთანხმდებით, რომ ამ შემთხვევაში არ არის სავალდებულო ხელშეკრულებაში კორექტირების შეტანა შეთანხმებით, ხოლო

ბათილად/გაუქმებულად გამოცხადებული ხელშეკრულების ნორმის (მუხლის, პუნქტის) ნაცვლად მხარეები იხელმძღვანელებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

17.7. წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში მხარეთა შორის ინფორმაციის გაცვლა, შეტყობინების გაგზავნა და ა. შ. შესაძლებელია განხორციელდეს როგორც წერილის გაგზავნით, ისე ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.

17.8. ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადის უქმე ან დასვენების დღეებზე დამთხვევის შემთხვევაში, შესაბამისი პირობა უნდა შესრულდეს არაუგვიანეს დადგენილი ვადის მომდევნო სამუშაო დღეს.

17.9. წინამდებარე ხელშეკრულება გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით. წინამდებარე ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

17.10. ხელშეკრულება შედგენილია 6 (ექვსი) ფურცლად, 3 ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება „მიმწოდებელთან", ორი ეგზემპლარი „შემსყიდველთან".

„შემსყიდველი"

სსიპ ქ. თბილისის #74 საჯარო სკოლა
მისამართი: ქ. თბილისი,
კაკაბეთის ქუჩა #2
საკონ.ტელ: 277-64-78:
საიდენტიფიკაციო კოდი N206105150
ბანკის კოდი: LBRTGE22
ანგ.სწ.ანგარიში GE32LB0121121092802000

მარინე ჯარმელიშვილი
დირექტორი

„მიმწოდებელი"

შპს „პენსან ჯორჯია"
ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ.N18
ს.ს. „ვი თი ბი ბანკი ჯორჯია"
ბანკის კოდი: UGEBGE22
ანგ. GE35VT6500000055555555
ს/კ N404870760

გიგა გობიანიძე
დირექტორი

დანართი N1

ხელშეკრულების საგნის აღწერა
შესყიდვის ობიექტია პირველი ხარისხის საბეჭდი ქაღალდი

N	დასახელება და ტექნიკური მაჩვენებლები	განზომილების ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	საერთო ფასი (ლარი)
1	პირველი ხარისხის საბეჭდი ქაღალდი - Ballet Universal; მწარმოებელი ქვეყანა – რუსეთი; გრამაჟი – 80 (გრ/მ2) სისქე(UM) - 98; სითეთრე (CIE)150; გაუმჭვირვალობა – 94%; სიკაშკაშე – 96%;	შეკვრა (500 ფურცლიანი)	40 შეკვრა	6.25	250
სულ ჯამი დღგ-ს ჩათვლით					250.00 ლარი

„შემსყიდველი"

სსიპ ქალაქ თბილისის #74 საჯარო სკოლა
ქ. თბილისი, კაკაბეთის #2
საიდენტიფიკაციო კოდი N206105150

მარინე ჯარმელიშვილი
დირექტორი

„მიმწოდებელი"

შპს „პენსან ჯორჯია"
ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ.N18
ს.ს. „ვი თი ბი ბანკი ჯორჯია"
ბანკის კოდი: UGEBGE22
ანგ. GE35VT6500000055555555
ს/ს N404870760

გიგა გობიანიძე
დირექტორი

LB ლიბერთი ბანკი LIBERTY BANK

ლიბერთი ბანკი

საგადახდო დავალება #: 2402

თარიღი: 2017 წლის 27 11, ორშაბათი

გადამხდელის დასახელება:	სსიპ ქ. თბილისის # 74 საჯარო სკოლა
	ანგარიში (დებეტი): GE32LB0121121092802000
გადამხდელის ბანკი:	სს "ლიბერთი ბანკი"
	ბანკის კოდი: LBRTGE22
გადასახადის გადამხდელის დასახელება:	სსიპ ქალაქ თბილისის N74 საჯარო სკოლა
საიდენტიფიკაციო კოდი:	206105150
	საბიუჯეტო შემოსავლის კოდი:
მიმღების დასახელება:	შპს„პენსან ჯორჯია"
საიდენტიფიკაციო კოდი:	404870760
	ანგარიში (კრედიტი): GE35VT6500000055555555
მიმღების ბანკი:	სს "ვითიბი ბანკი ჯორჯია"
	ბანკის კოდი: UGEBGE22
გადახდის დანიშნულება:	საბეჭდი ქაღალდის შესყიდვა. ხელშეკრ.#06-106 22.11.2017წ

ხელმოწერა: _____

_____ მ.ა.

დოკუმენტი დაბეჭდილია ინტერნეტ ბანკიდან

GEL

GEL

250.00

თანხა სიტყვიერად

ორას ორმოცდაათი GEL და 00

ბანკის აღნიშვნები

ბანკში შემოსვლის თარიღი: 27.11.2017

ხელმოწერა: _____

LB ლიბერთი ბანკი LIBERTY BANK

მიღება–ჩაბარების

აქტი №

ქ.თბილისი

22 ნოემბერი 2017 წელი

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთი მხრივ სსიპ- ქალაქ თბილისის #74 საჯარო სკოლა, მისი დირექტორის მარინე ჯარმელიშვილის სახით და მეორე მხრივ შპს „პენსან ჯორჯია", წარმოდგენილი მისი დირექტორის გიგა გობიანიძის სახით ვადასტურებთ, რომ 2017 წლის 22 ნოემბრის პირველმა მიიღო, ხოლო მეორემ ჩააბარა 2017 წლის 22 ნოემბერს გაფორმებული N 06-106 ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი, რომლის ჯამური ღირებულებაა 250.00 (ორასორმოოცდაათი ლარი და ნული თეთრი)

სსიპ ქალაქ თბილისის #74 საჯარო სკოლა

ს/კ 206105150

მარინე ჯარმელიშვილი

დირექტორი

ქალაქ თბილისის N74 საჯარო სკოლა
LEPL Tbilisi City Public School #74
206105150

შპს „პენსან ჯორჯია"

ს/კ 404870760

გიგა გობიანიძე

დირექტორი

"PENSAN GEORGIA" LTD * 404870760 * "პენსან ჯორჯია"

1	სასაქონლო ზედნადები #	ელ- 0343934881

2	22/11/2017

თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)

(დღგ-ს გადამხდელი)

3	11:08:00

დრო (საათი, წუთი)

4	შპს პენსან ჯორჯია	404870760
	გამყიდველის (გამგზავნის) დასახელება,ან სახელი და გვარი	საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი

5	სსიპ ქალაქ თბილისის #74 საჯარო სკოლა	206105150
	მყიდველის (მიმღების) დასახელება,ან სახელი და გვარი	საიდენტიფიკაციო / პირადი ნომერი

6	ოპერაციის შინაარსი	ტრანსპორტირებით

7	თბილისი თამარ მეფის 18
	ტრანსპორტირების დაწყების ადგილი (მისამართი)

8	თბილისი კაკაბეთის ქუჩა 2
	ტრანსპორტირების დასრულების ადგილი (მისამართი)

9	საავტომობილო
	ტრანსპორტირების სახე

10	JXJ338
	სატრანსპორტო საშუალების სახელმწიფო ნომერი

X
მისაბმელი

11	სატრანსპორტო საშუალების მძღოლის პირადი ნომერი	16001011648 კობა კობაიძე

12	გამყიდველის(გამგზავნის)/მყიდველის(მიმღების) მიერ გაწეული ტრანსპორტირების ხარჯი	გამყიდველი - 0

თანხა ლარებში

სასაქონლო ზედნადების ცხრილი

#	საქონლის დასახელება	საქონლის კოდი	საქონლის ზომის ერთეული	საქონლის რაოდენობა	საქონლის ერთეულის ფასი*	საქონლის ფასი *
1	საოფისე ქაღალდი ა4. 80 გრ. (500 ფ.)Ballet Universal A4.C+ უნი-500	05680	შეკვრა	40.0000	6.2500	250.0000

13	250 - ორას ორმოცდაათი ლარი და ნული თეთრი
	მიწოდებული საქონლის მთლიანი თანხა (ციფრებით და სიტყვიერად)

14	
	გამყიდველი (გამგზავნი)/საქონლის ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)

15	
	მყიდველი (მიმღები)/საქონლის მიღებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)

16	
	ხელმოწერა

17	
	ხელმოწერა

18	მიწოდებული საქონლის ჩაბარების		
		თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)	დრო (საათი, წუთი)

19	.

შენიშვნა: * დღგ-ს გადამხდელისათვის დღგ-ს ჩათვლით, აქციზის გადამხდელისათვის აქციზურ საქონელზე, დღგ-ს და აქციზის ჩათვლით

ამობეჭდვის თარიღი 22/11/2017, 11:08:40